ყოველთვიური მაკროეკონომიკური ბიულეტენი

იანვარი, 2017 წელი[1]

თვის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

- დეკემბერში, წინასწარი შეფასებით, ეკონომიკურმა ზრდამ 0.3%,
- იანვარში წლიური ინფლაცია 3.9%-ს გაუტოლდა
- იანვარში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 1.8%-ით, ხოლო წინა წლის იანვართან შედარებით 9.8%-ით გაუფასურდა

რეალური და ფისკალური სექტორების ინდიკატორები

დეკემბერში ეკონომიკურმა ზრდამ მხოლოდ 0.3% შეადგინა. 2016 წლის დეკემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, წინასწარი შეფასებით, რეალური მშპ-ის ზრდის ტემპმა 0.3%, ხოლო იანვარ-დეკემბრის პერიოდში მშპ-ის საშუალო რეალურმა ზრდამ 2.2% შეადგინა, რაც ძირითადად შიდა მოთხოვნის ზრდით იყო განპირობებული. ეკონომიკურ ზრდაზე პოზიტიური გავლენა იქონია ინვესტიციების გააქტიურებამ. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2016 წლის იანვარ-დეკემბერში რეალური მშპ-ის ანუალიზებულმა ზრდის ტემპმა[2] 0.4% შეადგინა.



იანვარში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია ზრდის ტენდენციას ავლენს. 2017 წლის იანვარში, წინა წლის იანვართან მიმართებით, ინფლაციის დონემ 3.9% შეადგინა, რაც მიახლოებულია მიზნობრივი ინფლაციის 4%-იან მაჩვენებელთან. ინფლაციის დონის მატება უკავშირდება 2016 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მონეტარული პოლიტიკის შერბილებას, აგრეთვე ზოგიერთ სამომხმარებლო საქონელზე და განსაკუთრებით იმპორტირებულ საწვავზე აქციზის გადასახადის ზრდას. 2016 წლის დეკემბერში მშპ-ის წლიურმა დეფლატორმა 2.8% შეადგინა.



---

[1] *შენიშვნა:* ეკონომიკური მაჩვენებლების გამოქვეყნების ვადებიდან გამომდინარე ცალკეული ეკონომიკური მაჩვენებლები წარმოდგენილია საანგარიშოს წინა თვის მდგომარეობით.

[2] ანუალიზებული რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი რეალური მშპ-ის მონაცემების საფუძველზე სეზონურობისა და შემთხვევითი რყევების ამორიცხვით დგინდება და ეკონომიკის განვითარების ტენდენციას უჩვენებს

იანვარ-დეკემბერში ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა. 2016 წლის იანვარ-დეკემბერში ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები, წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 7.9%-ით, ხოლო ხარჯები 11.6%-ით აღემატებოდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდო (მთავრობის დანაზოგები) 550 მლნ ლარით, ხოლო მთლიანი სალდო -479 მლნ ლარით განისაზღვრა.



დეკემბერში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხები არსებითი ზრდის ტენდენციას ავლენს. 2016 წლის დეკემბერში, წინა წლის დეკემბერთან შედარებით, კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 18%-ით მოიმატა და 19.1 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები გაიზარდა 19.5%-ით, ხოლო ლარში გაცემულმა სესხებმა 15.2%-ით მოიმატა.



საგარეო სექტორის ინდიკატორები[3]

იანვარ-დეკემბერში, საქონლის ექსპორტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით შემცირდა. 2017 წლის იანვარ-დეკემბერში, წინა წლის იანვარ-დეკემბერთან შედარებით, ექსპორტმა 4.1%-ით, ხოლო იმპორტმა 0.7%-ით მოიკლო. ამასთან, აღსანიშნავია, რომ წლის განმავლობაში ექსპორტის კლების ტემპი თანდათანობით შემცირდა და IV კვარტალში ექსპორტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა.



დეკემბერში, ფულადი გზავნილების ზრდის წლიური ტემპი გასულ თვეებთან შედარებით გაზრდილია. 2016 წლის დეკემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ფულადმა გზავნილებმა 16.7%-ით მოიმატა. გზავნილების ძირითად წყაროს რუსეთი (გზავნილების მთლიანი ოდენობის 35%) და ევროკავშირის ქვეყნები (30%) წარმოადგენს. საანალიზო პერიოდში გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა ისრაელიდან (94%-ით), აგრეთვე თურქეთიდან (51%-ით), აშშ-დან (39%-ით), საბერძნეთიდან (23%-ით) და სხვა.



იანვარში საერთაშორისო რეზერვები როგორც გასულ თვესთან შედარებით, ისე განსაკუთრებით წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით არსებითი ზრდის ტენდენციას ავლენს. 2017 წლის იანვარში მთლიანი საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ 2,797 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან მიმართებით 1.4%-ით, ხოლო წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 14.3%-ით მეტია. 2016 წლის მარტი-აგვისტოს პერიოდში სებ-ის მიერ სავალუტო აუქციონებზე განხორციელდა 278 მლნ აშშ დოლარის შეძენა, ხოლო აგვისტო-დეკემბრის პერიოდში რეზერვებიდან 220 მლნ აშშ დოლარის გაყიდვა.



[3] ***შენიშვნა:*** 2016 წლის სექტემბრიდან ბიულეტენებში შესწორდა საგარეო ვაჭრობის მონაცემები, იმპორტში C ჰეპატიტის სამკურნალო საშუალებების ამორიცხვით. წინა თვეების ბიულეტენებში კი აღნიშნული მაჩვენებლები C ჰეპატიტის მედიკამენტების ჩათვლით იყო წარმოდგენილი.

მონეტარული სექტორის ინდიკატორები

დეკემბერში სარეზერვო ფულის მასის წლიური ზრდა 28%-ს გაუტოლდა. 2016 წლის დეკემბერში, 2015 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, სარეზერვო ფულის მასა 28.0%-ით გაიზარდა, ფულის M2 აგრეგატმა 12.9%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 20.2%-ს გაუტოლდა. 2016 წლის დეკემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 1.8% შეადგინა.



დეკემბერში დეპოზიტების დოლარიზაციამ ზრდა განაგრძო, ხოლო სესხების დოლარიზაცია კვლავ უმნიშვნელოდ შეიცვალა. 2016 წლის დეკემბერში, წინა თვესთან მიმართებით, უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 5.9%-ით, ხოლო ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 1.7%-ით გაიზარდა. 2016 წლის დეკემბერში დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელმა, 2015 წლის შესაბამის თვესთან შედარებით, 3.1%-ული პუნქტით მოიმატა და 69.8%-ით განისაზღვრა.



დეკემბერში დეპოზიტებსა და სესხებზე საპროცენტო განაკვეთები არსებითად არ შეცვლილა. 2016 წლის დეკემბერში, წინა თვესთან მიმართებით, საბაზრო საპროცენტო განაკვეთები სესხებზე 0.3%-ული პუნქტით შემცირდა და 12.7%-ით განისაზღვრა, ხოლო დეპოზიტებზე მცირედით (0.03%-ული პუნქტით) გაიზარდა და 4.5% შეადგინა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) 2016 წლის დეკემბრის მდგომაროებით 8.2% შეადგინა, წინა წლის დეკემბერში კი 9.1%.



იანვარში ლარის კურსი წინა თვესთან შედარებით გაუფასურების ტენდენციას ავლენს. 2017 წლის იანვარში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 1.8%-ით, ხოლო ევროს მიმართ 2.5%-ით გაუფასურდა. ამავე პერიოდში გაუფასურდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსიც. 2016 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კი, 2017 წლის იანვარში, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 9.8%-ით, ხოლო ევროს მიმართ 7.7%-ით გაუფასურდა.



რეგიონული მიმოხილვა

იანვარში რეგიონის ქვეყნებში სამომხმარებლო ფასების ინფლაცია განსხვავებულ დინამიკას ავლენს. აღნიშნულ პერიოდში წლიური ინფლაციის ყველაზე მაღალი დონე აზერბაიჯანში დაფიქსირდა (11.9%). თურქეთში სამომხმარებლო ფასები, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 9.2%, ხოლო რუსეთში 5.0%-ით გაიზრდა. რეგიონის ქვეყნებიდან ინფლაციის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი სომხეთში აღინიშნა (2.6%).



იანვარში რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსის დინამიკა აშშ დოლართან მიმართებაში ასევე განსხვავებულია. კერძოდ, 2017 წლის იანვარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აშშ დოლართან მიმართებაში თურქული ლირა 19.8%-ით, აზერბაიჯანული მანათი 14.4%-ით გაუფასურდა. თითქმის არ შეცვლილა სომხური დრამის კურსი (გაუფასურდა 0.2%-ით). ამავე პერიოდში რუსული რუბლი აშშ დოლართან მიმართებით 28.0 %-ით გამყარდა.



შემაჯამებელი ცხრილი[4] ზრდა კლება ცვლილება < 1%

		იანვ 16	თებ 16	მარტი16	აპრ 16	მაისი 16	ივნ 16	ივლ 16	აგვ 16	სექტ 16	ოქტ 16	ნოემბ 16	დეკ 16	იანვ 17
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

*ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები შედარებულია გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან

[4] გაცვლითი კურსის ზრდა ნიშნავს გაუფასურებას, კლება გამყარებას.